განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ"
საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეზოლუციის პროექტის შესახებ:
ა.ა) რეზოლუციის პროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეზოლუციის პროექტი:

რეზოლუციის პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს მე-10 მოწვევის პარლამენტის საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრა შემდეგი 4 წლის განმავლობაში და არსებული პრიორიტეტების განახლება.

რეზოლუციის პროექტში ასახულია ქვეყნის ყველა ძირითადი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და პრიორიტეტეტი, რომელზეც მე-10 მოწვევის პარლამენტი იმუშავებს მომდევნო 4 წლის განმავლობაში. რეზოლუციაში ასახულია ისეთი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, როგორიც არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია, აშშ-ს თან თანამშრომლობა, ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცება, რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება, კულტურული და ეკონომიკური დიპლომატია, ხალხთაშორისი კავშირები, დიასპორებთან ურთიერთობა და სხვა.

აღნიშნული რეზოლუცია ხელს შეუწყობს მე-10 მოწვევის პარლამენტის კიდევ ერთხელ განსაზღვროს, განაახლოს და ცხადი გახადოს შიდა და საერთაშორისო საზოგადოებისთვის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები მომდევნო 4 წლისთვის.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:
საქართველოს პარლამენტი, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო რეზოლუციის მიღებით განსაზღვრავს და განაახლებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს.

ა.ბ) რეზოლუციის მოსალოდნელი შედეგები:

რეზოლუციით მკაფიოდ და თანმიმდევრულად განისაზღვრება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, რომლებზეც იმუშავებს მე-10 მოწვევის პარლამენტი მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

ა.გ) რეზოლუციის პროექტის ძირითადი არსი:
რეზოლუციაში აისახება როგორც არსებული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, ასევე, ახალი პრიორიტეტები, როგორიც არის 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე

განაცხადის გაკეთება, ნატო-ს წევრობისთვის სტრატეგიული მზაობისკენ მისწრაფება, საქართველოს, როგორც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი რეგიონული კვანძის, როლისა და ფუნქციის განვითარება, განათლების, ციფრული, ლოგისტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური მიმართულებებით.

ამის გარდა, რეზოლუციაში ყურადღება გამახვილებულია შავი ზღვის უსაფრთხოებაზე და შავი ზღვის გეოსტრატეგიულ არეალში აშშ-ს ჩართულობის გაზრდაზე. გამოყოფილია იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებთანაც საქართველო გააქტიურებს მუშაობას ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში სხვადასხვა მიმართულებით, როგორც რეგიონში, ასევე, ევროპაში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.

ა.დ) რეზოლუციის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

რეზოლუციის პროექტი არ უკავშირდება სამთავრობო პროგრამას ან შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმას.

ა.ე) რეზოლუციის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო რეზოლუციისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

რეზოლუციის პროექტი ძალაში შევა მიღებისთანავე. ამასთანავე, რეზოლუციის პროექტი არ ითვალისწინებს რეზოლუციისათვის ან მისი ცალკეული ნორმისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) რეზოლუციის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება:
რეზოლუციის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი რეზოლუციის პროექტის ინიციატორის მიერ.

ბ) რეზოლუციის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (დადგენილების პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი) :

ბ.ა) რეზოლუციის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
რეზოლუციის მიღება არ არის დაკავშირებული რაიმე სახის ხარჯებით დაფინანსებასთან.

ბ.ბ) რეზოლუციის პროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეზოლუციის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) რეზოლუციის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
რეზოლუციის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, რეზოლუციის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:
რეზოლუციის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას;

ბ.ე) რეზოლუციის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეზოლუციის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეზოლუციის პროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
რეზოლუციის პროექტი არ გამოიწვევს რაიმე სახის ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომლებზედაც გავრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) რეზოლუციის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
რეზოლუციის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას;

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეზოლუციის პროექტის ზეგავლენის შეფასება:
რეზოლუციის ამოქმედება გავლენას არ მოახდენს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) რეზოლუციის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) რეზოლუციის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
რეზოლუციის პროექტი შეესაბამება ევროკავშირის სამართალს;

გ.ბ) რეზოლუციის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
რეზოლუციის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) რეზოლუციის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
რეზოლუციის პროექტი შეესაბამება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი აქტი არ არსებობს;

დ) რეზოლუციის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეზოლუციის პროექტის შემუშავების პროცესში:
ასეთი არ არსებობს;

დ.ბ) რეზოლუციის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს;

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეზოლუციის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეზოლუციის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;
ასეთი არ არსებობს.

ე) რეზოლუციის პროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: ნიკოლოზ სამხარაძე, გიორგი ხელაშვილი, მარიამ ლაშხი.

ვ) რეზოლუციის პროექტის ინიციატორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: ნიკოლოზ სამხარაძე, გიორგი ხელაშვილი, მარიამ ლაშხი, კახაბერ კუჭავა, მაკა ბოჭორიშვილი, გივი მიქანაძე, ლევან ქარუმიძე, ირაკლი ბერაია, ირაკლი ჩიქოვანი;